

უმორისტული ხასიათის ორატორული ნიმუშების საკითხისათვის ქართულ მჭევრმეტყველებაში

FOR THE ISSUE OF HUMOROUS ORATORICAL SAMPLES IN GEORGIAN RHETORIC

ნათია კენტჩიაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Natia Kentchiashvili Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0000-0002-8230-7633>

საკვანძო სიტყვები: უმორისტული ორატორული ნიმუშები, ქართული ჰიგოიკა
Keywords: humorous oratorical samples, Georgian rhetoric

ABSTRACT

The present study deals with the issue of humorous oratorical samples in Georgian rhetoric. The mentioned topic has never been the subject of a special study until now, which determines its relevance and novelty. This type of oratorical samples can be found in small numbers and are confirmed in such humorous periodicals as the newspaper "Intermediary" and the magazines "The Whip and fife", "The Devil's Whip" and "The New Whip". "Devil's Whip" was the name of a Georgian-language weekly humorous magazine that was published in Tbilisi in 1907-1908, and later, after a certain interval – in 1915-1917, 1919-1921. "Devil's Whip" was issued under different names: "Whip", "New Whip", "Whip and fife", "The fife", "Our fife", etc. It should be noted that the editors of the magazine at different times were T. Bolkvadze and N. Kalandadze, and the publishers – T. Bolkvadze, A. Bukia, E. Lomtadze and S. Tavartkiladze. Publications in the journal were published under pseudonyms, for example, the pseudonym of the editor and publisher of the journal, Teofile Bolkvadze, was "Devil's Foot" (Grishashvili, 1987: 30), and Nestor Kalandadze – "Devil" (Grishashvili, 1987: 30), etc. "Devil's Whip" artwork, caricatures and drawings belong to Oskar Schmerling and Shalva Kikodze. Along with the original works, translations were printed in the magazine, as well as both prose texts and poems. For us, the mentioned periodicals are noteworthy to the extent that, along with humorous oratorical samples,

caricatures related to rhetoric and orators were also published in it. For the history of Georgian rhetoric, it is noteworthy not only to reveal such samples, but also to investigate a number of issues, including the issue of their authors, subject matter, field and genre attribution, etc. As a rule, these samples were printed under pseudonyms, for example, "Speech, spoken on December 6 by a fat orator at a meeting of petty merchants in Tbilisi" belongs to someone "Binoculars", "A speech delivered by Ilia Chavchavadze at the time of the execution in village Guramiantkar" – to someone "the devil", "The word: said by the Leverkelian missionary Melkhisadec Atonel on Agap in Ozurgeti" – by someone "Papaskua", "A popular lecture, read by the author on the literary morning on May 3" the author has published under the pseudonym "Mouse", "A speech delivered by X at the meeting of women devoted to the motherland. [Poem]" – under the pseudonym of "Satan"; There is another humorous oratorical sample belonging to Akaki Tsereteli: "Praise to the editor: Here's what a proofreading error means", which, unlike the previous samples, was printed in a non-humorous periodical edition. The mentioned samples are interesting to the extent that Georgian eloquence confirms similar oratorical samples of a humorous nature, which is rare, in general, in the history of rhetoric. The mentioned samples were printed in the above-mentioned periodicals of the 10-20s of the 20th century.

შესავალი

წინამდებარე კვლევა ეხება იუმორისტული ხასიათის ორატორულ ნიმუშებს ქართულ მჭევრმეტყველებაში. აღნიშნული საკითხი ამ დრომდე არასდროს ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი, რაც განაპირობებს მის აქტუალობასა და სიახლეს. მსგავსი ხასიათის ორატორული ნიმუშები მცირე რაოდენობით მოგვეპოვება და დასტურდება ისეთ იუმორისტულ პერიოდულ გამოცემებში, როგორიც იყო გაზეთი „შუამავალი“ და ჟურნალები „მათრახი“ და „სალამური“, „ეშმაკისმათხარი“ და „ახალი მათრახი“. ქართული მჭევრმეტყველების ისტორიისთვის საყურადღებოა ამგვარი ნიმუშების არა მხოლოდ გამოვლენა, არამედ რიგი საკითხების გამოკვლევა, მათ შორის, მათი ავტორების, თემატიკის, დარგობრივი და ჟანრობრივი მიკუთვნების საკითხი და სხვ. როგორც წესი, ეს ნიმუშები იბეჭდებოდა ფსევდონიმებით, მაგალითად, „სიტყვა, თქმული 6 დეკემბერს თფილ. წერილ-ვაჭართა კრებაზე მსხვილ ჩასუქებულ ორატორისაგან“ ეკუთვნის ვინმე „დურბინდს“, „სიტყვა თქმული ილია ჭავჭავაძისა მიერ ს. გურამიანთკარში ეკზეკუციის მინიჭების დროს“ – ვინმე „ეშმაკს“, სიტყვა: თქმული ლევერკელიანი მისიონერის მელქისაძექ ათონელის მიერ ქ. ოზურგეთში აღაპზე“ – ვინმე „პაპასკუას“, „პოპულარული ლექცია, წაკითხული ავტორის მიერ 3 მაისის საღიძ. დილაზე“ ავტორს გამოქვეყნებული აქვს „თაგუნას“ ფსევდონიმით, „მამულიშვილ ქალთა კრებაზე X მიერ წარმოთქმული სიტყვა. [ლექსი]“ – „სატანას“ ფსევდონიმით; არის კიდევ ერთი იუმორისტული ხასიათის ორატორული ნიმუში, რომელიც ეკუთვნის აკაკი წერეთელს: „შესხმა რედაქციისადმი: აი, რას ნიშნავს კორექტორული შეცდომა“, რომელიც, განსხვავებით წინა ნიმუშებისაგან, არაიუმორისტული ხასიათის პერიოდულ გამოცემაში დაიბეჭდა. აღნიშნული ნიმუშები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ქართულ მჭევრმეტყველებაში დასტურდება მსგავსი ტიპის, იუმორისტული ხასიათის ორატორული ნიმუშები, რაც იშვიათია, ზოგადად, რიტორიკის ისტორიაში. აღნიშნული ნიმუშები იბეჭდებოდა XX საუკუნის 10-20-იანი წლების ზემოდასახელებულ პერიოდულ გამოცემებში. კვლევასთან ერთად, გთავაზობთ იუმორისტულ ორატორულ ნიმუშთა ტექსტებს უცვლელი სახით პირველწყაროებიდან.

პერიოდული გამოცემების შესახებ

„ეშმაკისმათრახი“ ასე ეწოდებოდა ქართულენოვან, ყოველკვირეულ იუმორისტულ ჟურნალს, რომელიც გამოდიოდათბილისში 1907-1908 წლებში, ხოლო მოგვიანებით, გარკვეული ინტერვალის შემდეგ – 1915-1917, 1919-1921 წლებში. ჟურნალი პირველად დაიხურა თბილისის გუბერნატორის მიხეილ ლიუბიჩ იარმოლოვიჩ-ლოზინო-ლოზინსკის განკარგულებით 1908 წლის 11 აგვისტოს. მისი გამომცემანახლდა 1915 წლის 1 მარტს. გამოდიოდა

1917 წლისბოლომდე. შემდეგ „ეშმაკისმათრახის“ გამოცემაკვლავშენყდადაგანახლდა 1919 წლისდეკემბერს. გამოდიოდა 1921 წლის 14 თებერვლამდე. შუალედში „ეშმაკისმათრახი“ გამოდიოდასხვადასხვასახელწოდებით: „მათრახი“, „ახალი მათრახი“, „მათრახიდასალამური“, „სალამური“, „ჩვენისალამური“ დააშ.

1915 წლის 10 მაისს ჟურნალ „ახალ მათრახში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული პერიოდული გამოცემა ახალი სახელწოდებით გამოვიდოდა: „მკითხველთა საყურადღებოთ. ამით ვაწყებთ მკითხველებს, რომ შემდეგი ნომრიდან ჩვენი ჟურნალი გამოვა „ეშმაკის მათრახის“ სახელით. ჟურნალის სახელის შეცვლა გამოწვეულია გამომცემლობის მოსაზრებით და გავლენას არ იქონიებს სამხატვრო და სალიტერატურო მხარეზე, რომელიც იმავე ხელმძღვანელთა და ტანამშრომელთა ხელში რჩება. „ეშმაკის მათრახი“ ეგზავნება აგრეთვე ჟურნალ „მათრახის“ ხელის მომწერთაც. რედ.“ (ახალი მათრახი, 1915: 2). ამ დროს ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი იყო ნ. დ. ჟღენტი.


1918 წლის 4 მარტს გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა მოწოდება, რომელშიც გამოთქმული იყო სურვილი „ეშმაკის მათრახის“ განახლების შესახებ, რისთვისაც გროვდებოდა ფულადი შემოწირულობა. გთავაზობთ მოწოდების ტექსტს სრულად: „ძვირფასო ამხანაგებო! შეუსაბამო საგამომცემლო პირობების გამო პირველი იანვრიდან არსებობა შესწყვიტა ჩვენმა საყვარელმა ჟურნალმა „ეშმაკის მათრახმა“. „ეშმაკის მათრახი“ აღარ გამოდის, მაგრამ მისი ხანგრძლივი შეწყვეტა შეუძლებელია. „ეშმაკის მათრახმა“ უნდა იარსებოს. ამას გრძნობს ყველა ჩვენგანი. საჭიროა მხოლოდ ეს გრძნობა კიდევ გავავლივოთ და ჟურნალის განახლების საქმე სინამდვილეთ ვაქციოთ. მრავალი წერილები მოგვდის ამხანაგებისა და თანამგრძნობებისაგან: ყველანი ერთხმით მოითხოვენ ჟურნალის გამოცემის განახლებას და მზათ არიან სათანადო დახმარებაც აღმოუჩინონ მას. ჩვენც სიამოვნებით ვეგებებით ამ კეთილშობილ სურვილს „ეშმაკის მათრახის“ მკითხველებისას და ვკისრულობთ საჭირო ფონდის შედგენას, ურომლისოდ ჟურნალის გამოცემა ყოვლად შეუძლებელია. ძვირფასო ამხანაგებო! თქვენზეა დამოკიდებული „ეშმაკის მათრახის“ განახლების საქმე, მაშ ნუ დააყოვნებთ დახმარებას. ფულის მოკლე ანგარიშები დაიბეჭდება გაზეთ „ერთობა“-ში, ხოლო სრული სია შემომწირველთა გამოქვეყნდება თვით „ეშმაკის მათრახის“ ფურცლებზე. ფული და ყოველგვარი მინერ-მონერა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлиς редакция „ერთობა“ почт. ящ. № 199 для „Эшмакис Матрахи“. ამხანაგური სალამით „ეშმაკის მათრახი“-ს ფონდის გამაძლიერებელი კომისია.“ (ერთობა, 1918: 1).

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვადროსჟურნალის რედაქტორებიიყვნენ. ბოლქვაძე დან.კალანდაძე, ხოლოგამომცემლები – თ. ბოლქვაძე, ა. ბუ-


კია, ე. ლომთათიძედას. თავართქილაძე. ჟურნალში პუბლიკაციებს აქვეყნებდნენ ფსევდონიმებით, მაგალითად, ჟურნალის რედაქტორისა და გამომცემლის, თეოფილე ბოლქვაძის ფსევდონიმი იყო „ეშმაკის ფეხი“ (გრიშაშვილი, 1987: 30), ხოლო ნესტორ კალანდაძის – „ეშმაკი“ (გრიშაშვილი, 1987: 30) და ა.შ.

„ეშმაკისმათრახის“ მხატვრულიგაფორმება, კარიკატურებიდანახატებიეკუთვნითოსკარშმერლინგსადამალვა ქიქოძეს. ჟურნალშიორიგინალურნაწარმოებებთანერთად იბეჭდებოდა თარგმანებიც, ასევე როგორც პროზაული ტექსტები, ისე ლექსები. ჩვენთვის საყურადღებოა აღნიშნული პერიოდული გამოცემები იმდენად, რამდენადაც მასში იუმორისტულ ორატორულ ნიმუშებთან ერთად რიტორიკასთან და ორატორებთან დაკავშირებული კარიკატურებიც ქვეყნდებოდა.

სუხათი 1. ოსკაიშმეხიღნის კაიკაგუხა სათაუხით „ოხაგოხები მიტინგისაკენ“ (ეშმაკისმათრახი, 1917ა: 7).



სუხათი 2. შადვა ქიქოძის კაიკაგუხა სათაუხით „აკაკი ჩხენკელი. შაჩუები და პოზები სხვა და სხვა სიტყვების დროს“ (ეშმაკისმათრახი, 1917ბ: 8).



აკაკი ჩხენკელი. შაჩუები და პოზები სხვა და სხვა სიტყვების დროს...
საბატი შ.ქიქოძისა

1.1. იუმორისტული ორატორული ნიმუშები

იუმორისტული ორატორული ნიმუშია „სიტყვა თქმული ილია ჭავჭავაძისა მიერ ს. გურამიანთკარში ეკვრეცციის მინიჭების დროს“, რომელიც 1907 წლის 1 იანვარს, გაზეთ „შუამავალი“ „ეშმაკის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა (შუამავალი, 1907: 3). სიტყვას ახლავს თან ქვესათაური: „მიბაძვა სიტყვისა წინამძღვრიანთ-კარში თქმულისა“. მართლაც, ესაა ილია ჭავჭავაძის მიერ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე წარმოთქმული სიტყვის ნესტორ კალანდაძისეული პაროდია. კალანდაძე ნესტორ ლაზარეს ძე (1877-1943) იყო პუბლიცისტი, კარიკატურისტი. ხშირად წერდა შემდეგი ფსევდონიმებით: „ეშმაკი“, „კოლო“, „ბზიკი“. იუმორისტული სიტყვა გამოქვეყნდა 15 ივლისის ნომერში, ილიას მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე. ამ დროს ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი იყო ს. კეკელიძე. ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს. გთავაზობთ ტექსტს უცვლელი სახით გაზეთის ფურცლებიდან.

შემდეგი იუმორისტული ორატორული ნიმუში „სიტყვა, თქმული 6 დეკემბერს თფილ. წვრილ-ვაჭართა კრებაზე მსხვილ ჩასუქებულ ორატორისაგან“ ეკუთვნის ვინმე „დურბინდს“, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით დაუდგენელია¹. ორატორული ნიმუში მოთავსებულია ჟურნალ „ეშმაკისმათრახის“ 1907 წლის მე-13 ნომერში (ეშმაკისმათრახი, 1907: 5). ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს. გთავაზობთ ტექსტს უცვლელი სახით ჟურნალის ფურცლებიდან.

შემდეგი იუმორისტული ორატორული ნიმუშია „სიტყვა: თქმული ლევერკელიანი მისიონერის მელქისაძე ათონელის მიერ ქ. ოზურგეთში ალაპზე“, რომელიც გამოქვეყნდა 1909 წლის 18 ოქტომბერს, ჟურნალში „მათრახი და სალამური“ ვინმე „პაპასკუას“ ფსევდონიმით (მათრახი და სალამური, 1909: 11). ამ დროს იუმორისტული ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი იყო ე. ტურობელიძე. ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს. გთავაზობთ ტექსტს უცვლელი სახით ჟურნალის ფურცლებიდან.

შემდეგი იუმორისტული ორატორული ნიმუშია „პოპულარული ლექცია, წაკითხული ავტორის მიერ 3 მაისის სალიტ. დილაზე“, რომელიც 1915 წლის 10 მაისს, ჟურნალ „ახალმათრახში“ „თაგუნას“ ფსევდონიმით დაიბეჭდა (ახალიმათრახი, 1915: 2-3). იუმორისტულ ორატორულ ნიმუშს წამძღვარებული აქვს ძირითად სათაურად „სალიტერატურო დილა“,

¹ შენიშვ. აღნიშნული ფსევდონიმი არ მოიპოვება გრიშაშვილის „ფსევდონიმების ლექსიკონში“.

ხოლო ქვესათაურად „პოპულარული ლექცია, ნაკითხული ავტორის მიერ 3 მაისის საღიტი. დილაზე“. ტექსტს დართული აქვს ო. შმერლინგის ნახატი. ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება აკადემიურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – ლექციის ჟანრს. გთავაზობთ ტექსტს უცვლელი სახით ჟურნალის ფურცლებიდან.

შემდეგი იუმორისტული ორატორული ნიმუშია „მამულიშვილ ქალთა კრებაზე X მიერ წარმოთქმული სიტყვა. [ლექსი]“, რომელიც გამოქვეყნდა 1917 წლის 11 ივნისს, ჟურნალ „ეშმაკისმათრახში“ „სატანას“ ფსევდონიმით (ეშმაკის მათრახი, 1917ბ: 11-12). ამ დროს იუმორისტული ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი იყო თ. ბოლქვაძე. ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს. გთავაზობთ ტექსტს უცვლელი სახით ჟურნალის ფურცლებიდან.

დაბოლოს, უნდა ვახსენოთ კიდევ ერთი იუმორისტული ხასიათის ორატორული ნიმუში, რომელიც ეკუთვნის აკაკი წერეთელს: „შესხმა რედაქციისადმი: აი, რას ნიშნავს კორექტორული შეცდომა“ (ივერია, 1904: 2-3), რომელიც ივერიის 1904 წლის ნომერში დაიბეჭდა. ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – შესხმის ჟანრს.

ამდენად, იუმორისტული ორატორული ნიმუშები დარგობრივად ძირითადად მიეკუთვნება სადღესასწაულო, სამგლოვიარო, პოლიტიკურ და აკადემიურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის, შესხმის, ლექციის, მოხსენების ჟანრებს. გვაქვს როგორც პროზაული, ისე ლექსად თქმული ნიმუშები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი არ წარმოთქმულა საჯაროდ, რადგან ისინი მხოლოდ კონკრეტულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნების მიზნით შეიქმნა და განკუთვნილი იყო მკითხველთა აუდიტორიისთვის.

ნიმუში 1. სიტყვათმშეულილიაჭაჭაჭაპაძისამიერს. გურამიანთკარშიეპეკუპისმინიჭებისდროს

„ხალხნო და ჯამაათნო! ნათქვამია: ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ „ჩვენს“ მამულში დაიბლერტაო². შეხედეთ ამ ამწვანებულ ჯეჯილს, ამ ნორჩ ტყეს, ამ მოჩუხჩუხე არაგვს! ხალხნო და ჯამაათნო! ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედა-მინას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი სიმდიდრე დასდვა, ეს არე-მარე მე მომიზომა და მითხრა: „ილიკო ჩემო! იშრომე, გაისარჯე, დედამინას გული გაუპე, იქიდან სიმდიდრე ამოიღე და ისარგებლეო“. ეს ნაჭერი, საყვარელნო ძმანო ჩემნო, გახლავთ საგურამო, დაწყებული წინამურიდან ვიდრე ჯიღურამდე, ხოლო ზედაძენიდან ვიდრე არაგვის ატეხილ ქალებამდე.

„თუ ოდეს გლახთა მასზე მოსახლეთა“ განაგრძო უფალმა „არა ისურვონ შრომა ბატონისა თვისისათვის, არა გარდაუხსნან პირი დედასა-მინასა და ამოღებულისა სიმდიდრისა სამი მეოთხედი არა მიუზღონ ბატონსა თვისსა, მაშინ (ბრძანებს უფალი) მოვლინებულ იქნან სოფლად სტრაჟნი და კაზაკნი, რათა ხმლითა და მათრახითა გარდაუხსნან ყმათა მათ ქალა თავისა და ამოიღონ მუნიტ ტვინი თავსა მას შიგან მდებარე“.

ხალხნო და ჯამაათნო! წმინდა არს ნება უფლისა და შეურყეველ არს „ქვაკუთხედი“ კერძო საკუთრებისა. მონიჭებული ღვთისა მიერ არა წაირთმევის ძალითა, რამეთუ მოქმედი მახვილითა, მახვილითავე მოკვდების. თუ ოდენ ქრისტე ღმერთმა კალთა თავისი უხვებისა აქ ამ ჩვენს მამულში დაიბლერტა, ჯერ არს თქვენც, ძმანო ჩემნო, ჯიბენი თქვენი სისაწყლისა ჩემს კალთაში ჩაიბლერტოთ ვიდრე უკანასკნელსა გროზამდე.

ხალხნო და ჯამაათნო! თვით უფალმა ღმერთმა აკურთხა „ქვა-კუთხედი“ კერძო საკუთრებისა და ჯერეთ გამოუქვეყნებელ მეთერთმეტე მცნებაში (რომელიც არს გაგრძელება ათისა) ღალად ჰყო: „არა გული გითქმოდეს მიწისათვის ბატონისა შენისა; არა გული გითქმოდეს უღრანთათვის პატრონისა შენისა:

არცა მინდვრისა მისისა,
არცა ფიჩხისა მისისა,
არცა ქვიშისა მისისა,
არცა შეშისა მისისა,
არცა ღალისა მისისა
არცა წყალისა წმინდისა;
არცა ბალახისა მისისა
არცა ტალახისა მისისა,
არცა ჯაგებისა მისისა,
არცა ძაღლებისა მისისა
არცა ყოვლისა მისთვის
რაიცა იყოს ბატონისა შენისა.“

ხალხნო და ჯამაათნო! აი ქვშმარიტი სიტყვა უფლისა, რომელსაც სავსებით ვეთანხმები მეც, მონა მისი და ბატონი თქვენი. თავის უმეცრებითა თვისითა დაარღვიეთ კანონი უფლისა და გასთელეთ ფეხთა ქვეშე თქვენსა ქვაკუთხედი იგი დღევანდელი სამართლიანობისა ცოდვათა ამა, სჯულისათა საზღაურს მოუვლენთ თვით უფალი ღმერთი ჩვენი ჟამსა მას მეორეთ მოსვლისასა, ხოლო რაიცა შეეხება ცოდვათა თქვენთა მიწიერთა, ჩემდამო მძიმართ მომართულისა, ამისათვის მე მოგივლინეთ თქვენ ხალხნი ესე ბატონისა ფრად ერთგულნი რომელთა თვითნებობასა არა აქვს დასასრულ.“

აქედან იწყება ხანა ეგზეკუციის ბატონობისა.“

ეშმაკი.

² დაიბლერტა – დაიბერტყა.

**ნიმუში 2. სიტყვა, თქმული 6 დეკამბერს თფილ.
წვრილ-ვაჭართა კრებაზე მსხვილჩასუქლორატორისაგან**

„მუშათა განთავისუფლება
უნდა მოხდეს ხაზვინების³ ხელით“.

„ძმებოჯან! დადგა დღე განთავისუფლებისა. და-
დგა დღე სანეტარო ხაზვინთა შეერთებისა და შეკა-
ვშირებისა!! გიხაროდენ მუშებო, ამიერიდან თქვენა
გყავთ ერთგული მფარველი, რომელიცა ვართ ჩვენ
ძვირფასი ხაზვინები. გარეშე თვალთაგან ფარულად
შეგროვილნი მუშათა საქმის მოსაგვარებლათ! (მო-
წონების ნიშნები).

სად არიან ახლა ის აბლაკატები⁴? რატომ აქ არ-
სად სჩანან? დიახ, გარეშე ხაზვინასა არავინ არს
მფარველი მუშისა! მართალია ხომ ძმებოჯან და
აფხანაკებო⁵! (ხმა: მართალია, მართალი). დიახ, სად
არიან ის აბლაკატები! ისინი გაქრნენ!!

მაშ შევუდგეთ საქმეს. ერთი უნდა გკითხოთ, ვინ
უფრო მოუვლის თავის დუქანს, ხაზვინი, პატრონი
თუ მუშა? ვინ იცის, რამდენი „პატეჟები“ სად მაქვს,
ვის რამდენი უნდა მივსცე ღვინისა, არაყისა, პატე-
ნტისა და სხვ. რასაკვირველია ხაზვინმა. (მართა-
ლია, მართალი!) ვინ უნდა იყოს პატრონი დუქნისა
თუ არა ხაზვინი? მაშ დუქანი თუ ჩვენია, ნებაც ჩვე-
ნია. მინდა დავკეტამ, მინდა გავაღებ. რა ხელი აქვთ
იმ ბიჭბუჭ სოციალისტებს? (ხმა: ჩვენია, ჩვენი). აბა
მითხარით, მე უკეთ ავიყვან მუშებსა, თუ თვითონ
მუშები, მათ რა ესმისთ ჩემის დუქნისა? ვა, ჩვენ დუ-
ქანში და მუშა სხვამ დააქირავოს? დუქანიც ჩემია,
მუშაცა, მინდა დავითხოვ, მინდა გავუშვებ (ხმა: ნა-
მდვილია). ჩვენ უნდა ვუჩვენოთ მათ სწორი გზა მო-
რჩილებისა.

მაშ ასწიეთ სალოკი თითი, ვისაც გნამთ ჩვენი
ერთობა! ასწიეთ მუშტი, ვისაც გსურთ მუშათა განთა-
ვისუფლება. (ყველასი მუშტ მოღერილნი წამოცვი-
ვიან) ზიზღი იმ წუნკებს, ვინც გაურბის ჩვენს წმინდა
მიზანს და მუშებს აძლევს ბინას და საქმელს! წყევა
და კრულვა შევუთვალეთ მათ, მოლაღატეებს! ჩვენ
უნდა ვისხნათ მუშები განსაცდელისაგან. მუშათა
განთავისუფლება ხაზვინების საქმეა...“

დურბინდი.

**ნიმუში 3. სიტყვა: თქმული ლევერაკელიანი მისიო-
ნარის გელქისაღამ ათონელის მიერ ქ. ოგურგეთ-
შიალაგზე.**

„ღირსნო მამანო და ქრისტეს მიერ ძმანო და
დანო ჩემნო!

არა დასცხრეს ბაგენი ჩემნი სიმართლისათვის
და ენამან ჩემმან აღვიაროს ჭეშმარიტება, როგორც

მუშაკი ღირს არს სასყიდლისა ისე, კაცი ღირსეული
ღირს არს ცემისა – იმ დასაქცევმა და დაკრულულმა
დრომ ახალთაობისამ ოდეს, გვირგვინოსნების და
მირონ ცხებულების მაგიერ ყაზილარებმა⁶ რომ და-
იწყეს მეფობა აბა რაფერი იქნებოდა მათი მეფობა,
ტახტის მაგიერ ჯიკვზე შედგებოდენ, დიდებულ ქა-
ლაქთა ნაცვლად გვიმბრაში და ჟვერში ძვრებოდენ,
თოფის მაგიერ ხელთოფელაი რომ ქონდენ, გური-
ელის მაგიერ ჩიხიკვიშვილი რომ ყავდენ, ყოველივე
ეს უღმერთო იყო და უღმერთოთ ჩაიარა, ხოლო მის
მობრუნებამდი არაფერი გეტკინა, ხო და იმ ყაზილა-
რობის დრომ საძაგელი საქმე ქნა, ყველას დაავინყა
ქრისტე და წმინდა სახარება მისი, გაჩნდენ ცრუ წი-
ნასწარმეტყველნი და წარყვენს და წაბილწეს საქ-
რისტიანო. ნამდვილი ქრისტიანი ჭეშმარიტი ღვთის
მსახური აღმსარებელი რჯულისა ეხლა ჩვენში ისე
საძებარია, როგორც პირველ ქრისტიანობის დროს.
ჭეშმარიტათ გეტყვით თქვენ დღეს გული ჩემი აღ-
სავსე არს მხიარულებითა რადგან დღეს ვპოვე მე
ნამდვილი ჭეშმარიტი ძველი ქრისტიანი, რომელიც
არა მარტო სიტყვით აღიარებს ქრისტეს არამედ
საქმიტაც ამტკიცებს მას.

ძვირფას მასპინძელზე მოგახსენებთ, კარგათ ეს
მის პავლე მოციქულის სიტყვები, რომელი ამბობს
სიტყვა თვინიერ საქმისა მკვდარ არსო. თქვენ ყვე-
ლანი კარგათ ხედავთ თუ რა დიდებით და პატი-
ოსნებით დაასაფლავა მან თავისი მიცვალებული,
– მოიწვია პატიოსანნი მღვდელნი მწირველნი, მგა-
ლობელნი დიაკვნები, მოლოზვნები⁷ სტაროსტა და
ყველა კრებულნი ქრისტიანენი მისცა მღვდლებს
საწირავი მგალობლებს საჩუქარი, რომელიც მე
ჩემი წილი როგორც ლოტბარმა მგალობლებს ვა-
ჩუქე, აჩუქა დიაკვნებს და სტაროსტებს გაიკითხა
მოლოზნები და ქვრივ-ობლები და კიდევ რაც ეხლა
არსათ გურიაში არ იციან მიცვალებულს აუხსნა
სული დაკლა თუთრუშასავით ცხვარი გამოაცხო ხა-
ჭაპურები გატენილი ყველით, მოგვართვა საკმაოთ
სვირის ღვინო და მოგვცა შეძლება ზედაშე გადა-
გვეშვა პურზე და მიცვალებულიზა შენდობა შეგვეთ-
ვალა. ამისათვის მამანო მე ვსვამ მასპინძლის სა-
დღეგრძელოს ძმაო ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს
ყველას გვენახვოს შენი თეთრი წვერი, მიცვალე-
ბული გიცხოვროს, მისი დანაკლისი დღეი შეგმატოს
შენ და მშვიდობა მოგცეს. შენისთანა ქრისტიანი
ღმერთმა ბევრი მოგვცეს სხვების სამაგალითოთ.
ალავერდი ვარ თქვენთან მამაო დეკანოზო დავით
ასეთ პატიოსან მიცვალებულს გლოვა არ შეშვენის
მისი მისვლით ეხლა ზეცაში ანგელოზნიც განი-
ხარებენ და ჩვენც ნუ გადავალთ ღვთის ნებას და
ვთქვათ მრავალ ჟამიერ.“

ჰაპასკუა.

³ ხაზვინი – ხაზვინი,

⁴ აბლაკატი – ადვოკატი, ადამიანი, რომელსაც უყვარს ავტორი ტე-
ტული აზრის გამოთქმა იმ თემებზე, რომლებშიც ის არ არის კვა-
ლიფიციური. ტერმინი მომდინარეობს სამხედრო ჟარგონიდან.

⁵ აფხანაკებო – ამხანაგებო.

⁶ ყაზილარი – ლაწირაკი, უზრდელი, ჭკუადაუღაგებელი ახალგაზრდა.

⁷ მოლოზვნები – მონაზვნები.

ნიმუში 4. პოპულარული ლექსი, წაპითხული ავტორის მიერ 3 მაისის სალიტ. დილაზე

„ბატონებო!

ე.წ. „სალიტერატურო დილა“ სახადზე, ყვავილზე და სხვა მოარულ სენზე უფრო ძლიერ მოედო ჩვენს ქალაქს.

მისი მსხვერპლი დასახელებულ სენტა მსხვერპლზე გაცილებით დიდია, და თუ სახადიანთა და ყვავილიანთა შორის სიკვდილი ხშირია, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სალიტერატურო დილის“ მსხვერპლთაგან ვერც ერთი ვერ გადარჩება: ზოგი ადრე მოკვდება, ზოგი გვიან.

ავათმყოფობა გახშირებული მთქნარებით იწყება სწორედ იმ წუთში, რა წუთშიაც სცენაზე ლექტორი, ან ბელეტრისტი გამოდის და ლექციის ან მოთხრობის კითხვას დაიწყებს. შემდეგ ავათმყოფი ერთი წუთით ჩასთვლემს, მაგრამ მყისვე გამოფხიზლდება და გული საშინელი დარდით აევსება, გაშტერდება და უაზროთ უცქერის ლექტორს, რომლის კითხვა „სულთათანასავით“⁸ ეყურება; სენი ერთბაშად ვითარდება და ავათმყოფს რაღაც ზიზღი და მკითხველ ლექტორის თუ ბელეტრისტის სიძულვილი იპყრობს. ეს გრძნობა შემდეგ ისე იზრდება, რომ ავათმყოფს აღარ შეუძლია სცენაზე ცქერა და პირს იბრუნებს; ბოლოს ხმაც საშინლად მოქმედობს, ავათმყოფი დგება, სახე არეული აქვს, თვალები – ამღვრული, შეშლილივით გარბის დარბაზიდან, გავარდება ქუჩაში და მხოლოდ მაშინ მოვა გონს, როცა რომელსამე კედელს ან სხვა რამ საგანს მიაწყდება. შემდეგ სენი ცოტათი ცხრება, ავათმყოფს ნაღვლიანობა და მწუხარება მხოლოდ მაშინ გაუხსნება, როდესაც ბელეტრისტს ან პოეტს სადმე თვალს მოჰკრავს. ასე იტანჯება ავათმყოფი მთელ თავის ზოგჯერ მეტათ ხანგრძლივ სიცოცხლეში, ხოლო შემდეგ კვდება.

როგორც მრავალი სხვა ავათმყოფობა, „სალიტერატურო დილა“ გაზაფხულზე განვითარების უაღრეს წვერვალს აღწევს და ჩვენც, რაოდენათაც ხალხის ჯან-საღობა და კეთილმდგომარეობა ძვირათ გვიღირს, მოვალე ვართ მთელის ჩვენის ძალღონითა და ჭკუა გონებით შევებრძოლოთ მას.

მხოლოდ ამ მოსაზრებამ და არა რაიმე პატივ-მოყვარეობამა და სახელის მოხვეჭის განზრახვამ აღძრა ჩვენში სურვილი დღევანდელ ლექციის წაკითხვისა.

ისტორიული მხარე ჩვენის ლექციის საგნისა შემდეგია:

დანამდვილებით თქმა იმისი, თუ რომელ საუკუნეში შემოვიდა საქართველოში „სალიტერატურო დილა“, ყოვლად შეუძლებელია, რადგან ეგ სახელწოდება არა სჩანს ძველ ქართულ საისტორიო არც ერთ ნაწარმოებში.

გარნა ეს გარემოება ჩვენ არც იმის საბუთს გვაძლევს, რომ „სალიტერატურო დილა“ ჩვენს ძველთ არ სცნობოდეს⁹.

პირიქით, ვახუშტის¹⁰ ისტორიაში და აგრედვე „ქართლის ცხოვრებაში“ ჩვენ ვიპოვეთ მრავალი ადგილი, რომელნიც (ამას ჩვენ გადაჭრითა და დარწმუნებით აღვიარებთ) შეიძლება შეეხებოდენ მხოლოდ და მხოლოდ „სალიტერატურო დილას“.

„ჟამსა მას შემოკრბა სიმრავლე ერისა ფრიადი ხილვად სანახაობათა მრავალთა, გარნა ვერღარა იხილეს და განრისხნეს და იწყეს დრტვინვა“¹¹, ვითარმედ – სადა არს იგი, რაიცა აღგვითქვას!“. ამბობს მოსე ჯანაშვილი¹² „ქართლის ცხოვრებაში“, ე.ი. თანამედროვე ქართულად: „მაშინ შეიკრბა დიდძალი ხალხი მრავალ სანახაობათა სახილველად მაგრამ, რომ ვედარიფერი იხილეს, გაჯავრდენ და დაიწყეს დრტვინვა და ყვირილი: სად არის ის, რასაც დაგვპირდნენო?“

ეს სიტყვები ისე ზედგამოჭრილია „სალიტერატურო დილაზე“, რომ ეჭვის შეტანა ყოვლად შეუძლებელი გახლავთ.

ვახუშტის ისტორიაში სწერია:

„და მოველინა მათ ძილი, ხოლო ჟამი ძილისა არა იყო, არამედ – დილა“.

რომელი დილა იქნება ის დილა, ღამით გამოძინებულ ხალხს რომ ძილი მოეკიდოს, თუ არ „სალიტერატურო დილა“?

მსმენელთა ყურადღების დაღალვის რომ არ გვეშინოდეს, ასეთ ადგილებს კიდევ მრავალს მოვიყვანდით დასახელებულ წყაროებიდან.

ამის დაგვარად დამტკიცდა, რომ ძველ ქართველებს კარგათ სცნობიათ სალიტერატურო დილა და ეს არც გასაკვირველია, რადგან „სალიტ. დილა“ ჯერ კიდევ სოლომონ ბრძენის დროსაც ყოფილა, რადგან ისო ზირაქის წიგნში სწერია:

„აჰა ესე რა, გავიბერტყე მტვერნი ფერხთა ჩემთა და დაუტევე ადგილი იგი, სადაცა მოეწყინა სულსა ჩემსა და შეიპყრო გული ჩემი ურვამან და კაეშანმან“.

ყველასათვის აშკარაა, რომ ადგილი, სადაც მოეწყინა სულსა, ხოლო გული დარდმა და ნაღველმა შეიპყრო, უეჭველად სალიტერატურო დილა იქნებოდა.

მაგრამ დაუბრუნდეთ საქართველოს.

თავამედროვე ყაიდის „სალიტერატურო დილის“ წარმოშობას საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის საშუალო წლებს უფარდებენ.

აი, რას სწერს შოთა რუსთაველის თანამედროვე ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე¹³ ერთ-ერთ თავის თხზულებაში.

⁹ სცნობოდეს – იცოდნენ.

¹⁰ ვახუშტი – ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757 ან 1784), გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი. ავტორი სამეცნიერო თხზულებისა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

¹¹ დრტვინვა – უკმაყოფილება, შფოთი. უარყოფითი ემოციების გამოვლინება, რეალობის მიუღებლობა, რომელიც გამოიხატება ჩივილით, რისხვით, საკუთარი თავისადმი სიბრაღელობით, ჭმუნვით, ნეგატიური განწყობით, აგრესიულობით...

¹² მოსე ჯანაშვილი – მოსე ჯანაშვილი (1855-1934) ქართველი ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე.

¹³ სარგის კაკაბაძე – სარგის კაკაბაძე (1886-1967) ქართველი ისტორიკოსი და ფილოლოგი, პროფესორი.

⁸ სულთათანა – მცვალებულის სულის მოსახსენიებელი საგალობელი.

„1847 წელს მე და შოთამ პირველათ განვიძრახეთ თბილისში ქართულ „სალიტერატურო დილის“ გამართვა. მონაწილეობის მისაღებათ მოწვეული გვყავდა ყველა მაშინდელი ცნობილი პოეტი და არტისტი. „დილის“ წინა დღით ტელეფონის ზარის გაანჩხლებული რეკა მომესმა. მივედი აპარატთან: ვინა ხართ? შოთა რუსთაველი ვარ! აღელვებით მიპასუხა ხმამ – რა ამბავია კაცო? – წარმოიდგინე გრიშაშვილი უარს ამბობს! – მერე რა ვუყოთ რომა? უიმისოდაც მოვახერხებთ. – Никогда! ხომ იცი როგორ უყვარს ხალხს. Я не хочу надывать публику... Надо отменить утро“ ვერ იქმნა და ვერა! ვერ დავაჯერე, ისეთი ჯიუტი რამ იყო ის ცხოვრებული, რომ მეტი არ შეიძლება! იძულებული გაგვხადა დილა გადაგვედო...”

ჩვენ თავისუფლათ დავეყრდნობოდით ბ. სარგის კაკაბაძის ამ სიტყვებს და საჯაროთ აღვიარებდით, რომ თანამედროვე „სალიტერატურო დილის“ იდეა ბ. კაკაბაძესა და რუსთაველს დაებადა გასულ საუკუნეში, მაგრამ ეს იქნებოდა ქართველ მეცნიერ ქალთა ერთი ჯგუფის აბუჩად აგდება, იმ ჯგუფის, რომელიც ამტკიცებს, შოთა რუსთაველი ცხოვრობდა მე-12-ში, და არა მე-19-ე საუკუნეშიო და დიალ საფუძვლიანათ ასაბუთებს ამ მტკიცებას გაზ. „სახალხო ფურცელში“. საბუთი პირველი: კ. თავართქილაძის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ კრინტიც არ არის მის შესახებ, თითქო რუსთაველს მეცხრამეტე საუკუნეში ეცხოვროს. საბუთი მეორე: ბ-ნი კაკაბაძე სცდება: სარგის კაკაბაძე როდი იყო შოთას თანამედროვე, არამედ სარგის თმოგველიო¹⁴. საბუთი მესამე: თუნდაც სარგის კაკაბაძე ყოფილიყო შოთას თანამედროვე, ეს იმას არ ნიშნავს რომ უთუოთ შოთას უნდა ეცხოვრა კაკაბაძის ხანაში (ე.ი. მე-19-ე საუკუნეში) და არა კაკაბაძეს შოთას ხანაში, ე.ი. მე-12-ე საუკუნეში. საბუთი მეოთხე: ვისაც ერთი ტყუილი გამოაჩნდება, იმას არაფერი დაეჯერება: ბ. ს. კაკაბაძე ამტკიცებს, თითქოს 1847 წ. შოთა რუსთაველს ტელეფონით ელაპარაკოს მასთან. სად იყო ტელეფონი იმ დროს? ჩვენ მშვენივრათ ვიცით, რომ ორთქლის მანქანა და მამასადამე ტელეფონიც მე-18-ე საუკუნის მიწურულში გამოიგონა გუტენბერგმაო¹⁵.

ვიდრე ბ. სარგის კაკაბაძე არ გააბათილებს ზემორე ჩამოთვლილ საბუთებს, ჩვენ არ შეგვიძლია მისი ნათქვამი ვირწმუნოთ და „სალიტერატურო დილის“ აღორძინებას შოთას და სარგისის ხანას ვერ შევუფარდებთ...”

თაგუნა.

ნიმუში 5. მამულიშვილ ქალთა კრებაზე X მიერ წარმოქმნილი სიტყვა

ქუთაისი

(მამულიშვილ ქალთა კრებაზე X მიერ წარმოქმნილი სიტყვა).

„დღემდის, ქალებო, რაც სიზმარშიც ოცნებით ჩვენ ვერ წარმოგვედგინა, შემოგვწყრა ღმერთი, და აჯანყება ჩვენს ტურფა ერსაც წარმოველინა. ეს აჯანყება, ქალბატონებო, არ გავს ძველებურს, მამულიშვილურს, და ამისათვის თქვენ მოგინვიეთ, უშველოთ რამე ამ საშიშარს წყლულს. ხედავთ რუსეთის რევოლუციას ბატონ პატრონი ქუჩა გაუხდა? ქართველ ხალხშიაც ნიშნები მოსჩანს, ქუჩა ბძანებლობს, სხვა კი გაუქმდა. და დროზე უნდა მივიღოთ ზომა, არ შემოიჭრან ჩვენსა უბანში, თორემ თუ ძალა ხელში ჩაიგდეს გაგვიჭირდება გამოსვლა კარში. გახსოვთ კრებაზე, ნეტარ დროისა, რომ შემოჰყარეს „ქუჩის ქალები“?! და მაშინ შევძლეთ, ეგ მხოლოდ ბრძოლით დღესაც ვაჩვენოთ ჩვენი ძალები. მე თქვენ, ქალებო, მისთვის მოგმართავთ (და გამართლდება მნამს იმედები,) რომ ჩვენი ტანჯულ ერის მარადის დამცველიც იყავთ და თან დედები, სასწაულებით ჩვენი სამშობლო არა ერთგობის გადარჩენილი, მტერი უძლევი დაუძლევია, და საქართველო კვლავ აღდგენილა. და ჰა ის ძალა, რომელიც მუდამ დარაჯათ ედგა ჩვენს ტანჯულ ერსა, გჯეროდეთ, აწიც აღარ გასწირავს და დაამარცხებს შემოჭრილ მტერსა. გუშინ დეპეშამ სამწუხაროთა, თუმც დამარცხება ერთი გვაგემა, აღარ გვყავს კ-ა ერის დიდება, მაგრამ ტყვილია ბრძოლის წაგება. დამარცხება, ხომ გაკვეთილია, მუდამ წინ ახლავს გამარჯვებასა, მაშ ბრძოლა უფრო შეუპოვარი, მტრებს აუტირებთ მჯერა დედას! ჩვენ უნდობლობას შეჩვეული ვართ და შავი კენჭით გვართობს ქართველი, მეთაურობას მაინც ვერ დავსთმობთ, ჩვენ უნდა ვიქნეთ ქვეყნის მმართველნი. აქ დავათავებ და მოგინოდებთ აამოძრაოთ მთელი ძალები, შეიარაღდით ხმალ კაპარჭითა, გამოგადგებათ ჩანგალ დანები.

¹⁴ სარგის თმოგველი – სარგის თმოგველი XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართველი დიდებული, თმოგველების ფეოდალური სახლის ფუძემდებელი, ვარამ ზაქარიას ძე მხარგრძელის ძე.

¹⁵ გუტენბერგი – იოჰან გუტენბერგი (1394-99-1468) გერმანელი გამომგონებელი, ევროპის პირველი მესტამბე.

და ერთ არმიას შეერთებულნი
ვეცეთ სოციალ-დემოკრატიას,
წავლეკოთ, მოვსპოთ, ნუღარ დავინდობთ,
ერის სასივცხო „ქუჩის პარტიას“.
თავ დაცვა დღემდის საკმაო იყო,
ან საჭიროა თვითონ დავესხათ
კაბინეტები უნდა დავტოვოთ
ქუჩა გავხადოთ სისხლით სარეცხათ!..
მაშ მჯერა, მჯერა ქართველ ქალებო,
რომ გაამართლებთ ჩემს აზრებს ფიქრებს
და გაათავა... გრძნობაზე მოდის,
მაგრამ მას კვალად რაღაც აფითრებს!..
მიმოიხედა არავინ მოსჩანს!
ყველა წასულა თავიანთ სახლში.
ქუდ მოგლეჯილი, ყვირილ ღრიალით,
ქალთა სარდალი გამოობის კარში!“

სატანა.

ლიტერატურა

- ახალი მათრახი. (1915).** სალიტერატურო დილა: პო-
პულარული ლექცია, წაკითხული ავტორის მიერ
3 მაისის სალიტ. დილაზე, თბილისი, კვირა, 10
მაისი, №11, გვ. 2-3, ხელმისაწვდომია: [http://
openlibrary.ge/handle/123456789/7626](http://openlibrary.ge/handle/123456789/7626)
- გრიშაშვილი, ი. (1987).** ფსევდონიმების ლექსიკონი,
თბილისი, მეცნიერება
ერთობა, 1918: მოწოდება, კვირა, 4 მარტი, №51, გვ.
1, ხელმისაწვდომია: [https://dspace.nplg.gov.ge/
bitstream/1234/18986/1/Ertoba_1918_N51.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/18986/1/Ertoba_1918_N51.pdf)
- ეშმაკის მათრახი. (1907).** სიტყვა, თქმული 6 დე-
კემბერს თფილ. წვრილ-ვაჭართა კრებაზე
მსხვილ ჩასუქებულ ორატორისაგან, იუმო-
რისტული ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, №13, გვ.
5, ხელმისაწვდომია: [https://dspace.nplg.gov.ge/
bitstream/1234/161409/1/Eshmaki_Matraxi_1907_
N13.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/161409/1/Eshmaki_Matraxi_1907_N13.pdf)
- ეშმაკის მათრახი. (1917ა).** ორატორები მიტინგისა-
კენ, იუმორისტული ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“,
კვირა, 19 მარტი, №12, გვ. 7, ხელმისაწვდომია:
<http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/7777>
- ეშმაკის მათრახი. (1917ბ).** აკაკი ჩხენკელი. შარჟები
და პოზები სხვა და სხვა სიტყვების დროს, იუმო-
რისტული ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, კვირა,
11 ივნისი, №24, გვ. 8, ხელმისაწვდომია: [http://
openlibrary.ge/handle/123456789/7789](http://openlibrary.ge/handle/123456789/7789)
- ეშმაკის მათრახი. (1917გ).** მამულიშვილ ქალთა
კრებაზე X მიერ წარმოთქმული სიტყვა. [ლექ-
სი], იუმორისტული ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“,
კვირა, 11 ივნისი, №24, გვ. 11-12, ხელმისაწვდო-
მია: <http://openlibrary.ge/handle/123456789/7789>
- ივერია. (1904)** აკაკი წერეთელი, შესხმა რედაქცი-
ისადმი: აი, რას ნიშნავს კორექტორული შეც-
დომა, ივერია, თბილისი, 1904, 27 ივნისი, №149,
გვ. 2-3;
- მათრახი და სალამური. (1909).** სიტყვა: თქმული
ლევერკელიანი მისიონერის მეღქმისადექ
ათონელის მიერ ქ. ოზურგეთში ალაპზე, კვირა,
18 ოქტომბერი, № 19, გვ. 11, ხელმისაწვდომია:
<http://openlibrary.ge/handle/123456789/8190>
- შუამავალი. (1907).** სიტყვა თქმული ილია ჭავჭავა-
ძისა მიერ ს. გურამიანთკარში ეკზეკუციის მი-
ნიჭების დროს, გაზეთი „შუამავალი“, კვირა, 15
ივლისი, № 1, გვ. 3, ხელმისაწვდომია: [https://
dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/265348/1/
Shuamavali_1907_N1.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/265348/1/Shuamavali_1907_N1.pdf)